პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს
ყოველკვირეული ორგანო

№ 39 (138). პარასკევი, 4 ოქტომბერი, 1946 წ. ფასი 1 მანეთი

აკადემიკოსი გ. ჩუბინაშვილი

# ფერწერისა და გრაფიკის გამოჩენილი ოსტატი

## ე.ე. ლანსერეს გარდაცვალების გამო

ახლახან გარდაიცვალა ფერწერის აკადემიკოსი ევგენი ევგენის-ძე ლანსერე; იგი იყო უაღრესად ნაყოფიერი, მრავალმხრივი ფერმწერელი მხატვარი და გრაფიკოსი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე და რსფსრ-ის სახალხო მხატვარი, ორდენებით და სტალინური პრემიით დაჯილდოებული, საბჭოთა სახელმწიფოს მრავალი დიდი და საპატიო დავალების ბრწყინვალედ შემსრულებელი ხელოვანი.

ე. ე. ლანსერე შვილია იმ ოჯახისა, რომელიც მტკიცედ იცავდა დიდი მხატვრული კულტურის ტრადიციებს. როგორც მამის, ისე დედის მხრიდან მას მემკვიდრეობად გამოჰყვა ღრმად თავისებური ნიჭი, მაძიებელი სული მხატვრისა, ცოდნის შეუნელებელი წყურვილი, ცნობისმოყვარეობა და შრომის უნარი.

ე. ე. ლანსერეს ადამიანებთან ურთიერთობაში ახასიათებდა დიდი გულისხმიერება და თავაზიანობა, გულბრყვილობა და კეთილი დამოკიდებულება. ამავე დროს იგი იყო მტკიცე და შეურიგებელი, პრინციპული და ქედუხრელი, როცა ის გამოსთქვამდა თავის შეხედულებებს ხელოვნების ამა თუ იმ ნაწარმოებზე.

ე. ე. ლანსერე დაიბადა 1875 წლის 23 აგვისტოს პავლოვსკში (პეტერბურგს ახლო) ცნობილი სკულპტორის ოჯახში. ბავშვობისა და ყრმობის წლები გაატარა ფერწერის, თეატრალური ხელოვნების, არქიტექტურის, ლიტერატურის სიყვარულითა და ინტერესებით გამსჭვალულს, მამის ოჯახთან მჭიდროდ დაკავშირებულ საზოგადოებაში.

ყრმობის წლებიდან ე. ე. ლანსერე იწყებს მოგზაურობას ჯერ რუსეთის პროვინციებში, ხოლო შემდეგ არქიტექტორ ბიძასთან ერთად—საზღვარგარეთ—შვეიცარიისა, საფრანგეთისა და გერმანიაში.

გიმნაზიის დამთავრებისთანავე 17 წლის ე. ლანსერე სპეციალური ცოდნის მისაღებად შედის პეტერბურგის მხატვართა ხელისშემწყობი საზოგადოების სამხატვრო სკოლაში, სადაც მას ასწავლიდნენ ცნობილი და გამოჩენილი მხატვარ-პედაგოგები. ოცი წლის ლანსერე გაემგზავრა პარიზს, სადაც იგი ჟიულენის აკადემიაში და ცალკეულ კერძო სახელოსნოებში ორი წლის განმავლობაში ამდიდრებდა და სრულყოფდა თავის ტექნიკურ ცოდნასა და უნარს. მომდევნო წლებში ე. ლანსერე იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის მუზეუმებში სწავლობს ფერწერის, გრაფიკის და სკულპტურის დიდ ოსტატთა შემოქმედებას, იმ ოსტატთა შემოქმედებას, რომელნიც მოღვაწეობდნენ ახლობელ და შორეულ წარსულში. ასევე გულმოდგინეთ სწავლობდა ე. ლანსერე უდიდეს არქიტექტორ-ხუროთმოძღვართა მიერ შექმნილ ძეგლებს—შუა საუკუნეების ციხე-კოშკებს, კათედრალებს და მათთან დაკავშირებულ სკულპტურებს.

ამ ხანგრძლივ მგზავრობასა და სწავლას მოჰყვა მისი პირველი გამოჩენა გამოფენაზე და სამზადისი იმისათვის, რათა შეესრულებინა შეკვეთა პირველი ილუსტრირებული გამოცემისათვის. 25 წლის ლანსერე უკვე სავსებით ჩამოყალიბებული ოსტატია, რომელმაც უმალვე დაიკავა თვალსაჩინო ადგილი რუსეთის იმდროინდელ მხატვართა წრეებში. ე. ლანსერე მონაწილეობას ღებულობს ჟურნალ „მირ ისკუსტვას" (1900-1904 წ. წ.) ირგვლივ გაერთიანებულ მხატვართა ჯგუფის მუშაობაში, მაგრამ არ იზიარებს ამ ჯგუფის ბევრ ძირეულ შეხედულებას, მათ შორის, რეტროსპექტივიზმს და ცხოვრებისგან განდგომილობას. ევგენი ევგენის-ძე თავის შემოქმედებით პრაქტიკაში რჩება ცოცხალი ცხოვრების გაღრმავებულ შემსწავლელის მომხრედ. იგი იმთავითვე იყო მებრძოლი იმ ამოცანების მხატვრული განსახიერებისათვის, რომელიც ცოცხალი სინამდვილიდან მომდინარეობენ და მხატვარის თვალსა და გრძნობებს იტაცებენ; იმ შემთხვევაშიც, როცა ე. ლანსერე თემებს ისტორიული ეპოქებიდან ღებულობს, იგი ნამდვილი რეალისტის რწმენით და თვალსაზრისით სწავლობს გარდასულ დროთა ყოველ დეტალს და ცდილობს მოგვცეს, აღადგინოს ეპოქის ცხოველი სურათი. ყველა ამის შემდეგ სავსებით გასაგები და ბუნებრივია ის ფაქტი, რომ ე. ლანსერე როგორც რეალისტი-მხატვარი, ფერწერის აკადემიკოსად წამოაყენა ისეთმა პრინციპულმა რეალისტმა, როგორიც თვით ი. ე. რეპინი იყო, თუმცა საკუთრივ კომპოზიციისა და შესრულების ფერწერული ან გრაფიკული გადაწყვეტისას ლანსერე და რეპინი აბსოლუტურად სხვადასხვაგვარად ახორციელებდნენ თავიანთ მხატვრულ მონაფიქრებს.

ე. ლანსერეს შემოქმედება მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია. იგი თანაბრად ნაყოფიერია როგორც ფერწერაში, ისე გრაფიკაში. თვით ლანსერეს რწმენით, მისი მუშაობის აღრინდელი პერიოდი სწორედ ნახატმა განსაზღვრა. მუშაობამ კავკასიაში, რომელიც მას ბავშვობიდანვე იზიდავდა და რომლისადმი ინტერესი მასში აღძრეს მამის სკულპტურულმა ჯგუფებმა, გარდაქმნა ლანსერე, როგორც მხატვარი. ლანსერე გაიტაცა და მოხიბლა კავკასიის ფერების მრავალფეროვნებამ. იგი ჩვეული გულმოდგინებით დეტალურად სწავლობდა კავკასიელთა საყოფაცხოვრებო პირობებსა და ჩვევებს იმ მიზნით, რათა დაესურათებინა ლევ ტოლსტოის „ხაჯი-მურატი".

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ლანსერე ჩამოვიდა საბჭოთა საქართველოში, სადაც იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დაახლოებით 15 წლიწადს.

ლანსერეს მუშაობას საბჭოთა საქართველოში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ფერწერის განვითარებისათვის. მან დიდად ნაყოფიერი გავლენა მოახდინა არა მარტო თავის უშუალო მოწაფეებზე სამხატვრო აკადემიაში, არამედ სხვა პროფესორ-მხატვართა მოწაფეებზეც. სტუდენტებისათვის ლანსერეს მუშაობა ყველაზე დამაჯერებელი და დამარწმუნებელი მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ უნდა იმუშაო, თუ როგორ უნდა მიაღწიო განზრახულ ეფექტს. ასეთ მაგალითს თავის სტუდენტებს — მომავალ ახალგაზრდა მხატვრებს ყოველთვის აძლევდა ლანსერე. იგი ალბომითა და ფანქრით ხელში ყურადღებით იწერდა თავის დაკვირვებებს, დიდ ხალისით ესაუბრებოდა და თავის აზრებს უზიარებდა ახალგაზრდა მხატვრებს, ყოველივე ამას ხელს უწყობდა მომხიბვლელობა მისი პიროვნებისა, მისი გულღია ნათელი ხასიათი.

ე. ლანსერე შესანიშნავად იცნობდა საქართველოს და უყვარდა იგი. ხშირად მოგზაურობდა საქართველოს ისტორიულ კუთხეებში და მონაწილეობას ღებულობდა მრავალ სამეცნიერო ექსპედიციაში, რომლის დროსაც იგი აგროვებდა დიდძალ ძვირფას მასალას, ხატავდა ნატურიდან ფანქრით, აკვარელით, გუაშით, ფერადი ფანქრებით, ხოლო ზოგჯერ მის მიერ აღდგენილი, მისი საყვარელი ტემპერით. მის მიერ ნატურიდან გადაღებული სურათები მეტწილად კომპოზიციურად დამთავრებულ ნაწარმოებებს წარმოადგენდნენ.

ლანსერე მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დავალებით, მოგზაურობდა აჭარაში, გურიაში, ხატავდა ეთნოგრაფიულ ტიპებს. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის დავალებით ლანსერემ გადაიღო ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლები შიო მღვიმეს, დავით გარეჯის მონასტერში, მცხეთაში და სხვაგან. თავისი პირადი ინიციატივით მან შეისწავლა და გადაიღო ქუთაისის, ზედაზენის, ბეთანიის, მცხეთის ძეგლები და სხვ. თავისი ინიციატივითვე და სამეცნიერო დაწესებულებათა დავალებით მან მოიარა მოძმე რესპუბლიკები—სომხეთი (ერევანი, ზანგეზური, ლორი), აზერბაიჯანი, დაღესტანი. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ იგი იყო მივლინებული საფრანგეთში.

საბჭოთა საქართველო ე. ლანსერეს პატივს სცემს და აფასებს როგორც ახალგაზრდა მხატვართა კადრების აღმზრდელს, როგორც დიდ ხელოვანს, რომელმაც სიყვარულითა და დაკვირვებით ასახა ჩვენი ქვეყნის ბუნება და ცხოვრება და რომელმაც უახლოესი მონაწილეობა მიიღო ჩვენი სამშობლოს მხატვრული მემკვიდრეობის შესწავლასა და დაცვაში.

თავის ცხოვრების უკანასკნელ წლებში ე. ე. ლანსერე გატაცებული იყო დეკორატიულ-მონუმენტური ამოცანებით: მის მიერ არის შესრულებული პანო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კედლებზე თბილისში, მოხატულობა ყაზანის სადგურის შენობის კედლებზე მოსკოვში, პლაფონი სასტუმრო —„მოსკოვის" რესტორანში და სხვ.

გარდაიცვალა ე. ლანსერე 13 სექტემბერს მოსკოვში. მეტად სამწუხარო და დასანანებელია, რომ ამ შესანიშნავი მხატვრის და მომხიბვლელი ადამიანის სიცოცხლე შეწყდა სწორედ იმ დროს, როცა იგი დიდი შემოქმედებითი მუშაობით იყო გატაცებული, როცა იგი ხატავდა დეკორატიულ პანოებს საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი საომარი გამარჯვების და მშვიდობიანი შრომის თემაზე.

იგი მუდამ იცოცხლებს საბჭოთა ხელოვნებაში, როგორც ხელოვანი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში.